ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2857509

ნომერი: AR1441733

თარიღი : 19.09.2016

გაცემის თარიღი : 26.09.2016

გაცნობის თარიღი : 27.09.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა ნუცუბიძის ქუჩა N129ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბენი ელიშაყოვი პ/ნ 01015003838
- ნუცუბიძის 129ა

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ,,ელიტ ოფისი" კოდი: 404903486

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1441733 განცხადება, რომლითაც ითხოვთ , თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: #01.14.02.025.117) ღია ავტოსადგომის მოწყობის უფლებას:

მოცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მკვეთრი მოსახვევის სიახლოვეს და წარმოდგენს გზის პირს ასევე აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქვეითთა სავალ ნაწილს (ტროტუარს), რომელიც აქტიურად დატვირთულია ფეხით მომომსვლელებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს დაინტერესებაში მყოფ ტერიტორიაზე პარკინგის მოწყობის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ შენარჩუნებულია ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღნიშნულის გამოყენება მაინც მოხდება ავტომობილთა მიერ და შეიზღუდება ქვეითთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი საფეხმავლო სივრცე (ტროტუარი), რაც დაუშვებელია.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.